



ხელის მოწერა და დასაბუთებელი გატყუებულებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში, და კანტორაში ყოველდღე კვირა უწყვეტად გარდა, დღის 9-3-მდე, საღამოს 5-7-მდე.

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტითი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ელირება 5 მანეთი.

# „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევიამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ანაწილად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. უფრო ნაკლებად „ხელის მოწერით, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მოწერით, რომელთაც სამს მანეთამდე აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

## პირველხარისხოვანი

# „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1. **ჟამა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დღის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1-6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვეულებრივი საკმელები: ხაჩი, ლობი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პირაჯები“. თვითრად მოსადილეთ შეღავათი ექვემდებარება. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დღის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაჟდენ იოსელიანი.**

**დოქტორი მადონისა**  
მოსე ანთიმოსის ძე  
**კალანდარიშვილი**  
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.  
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**ქილის ექიმი ქალი ნინო რსხილაძე**  
იღებს ავადმყოფებს დღით 9-2 ს. და საღ. 5-7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირიჩინი შესახვევის 21.  
**მ. გ. მ. რ. ში**  
**ექიმი ნ. მ. კლიმაშვილი**  
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

# ოგის დღიური

## მიმოხილვა

კონვოლიბავს მიმართულებით დიდი ბრძოლების შემდეგ შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. მებრძოლი შევიდა და მურავიოვის შუა მდინარე ვინდავას ნაპირებზე დაბანაკდნენ და იარებს ირჩენენ, დანაკლის იგებენ, ისვენებენ. გერმანელებმა რომ პირდაპირის იერიშებით ვერ დასძრეს რუსის ჯარი ზემოხსენებულ ადგილიდან, ისევ ნაცად ხერხს მიჰმართეს—რუსის ჯარის წევრის მოვლას და საკვებ გზების მოჭრის მუქარას. 15 ივნისს მათ მოინდომეს ვინდავაში ჯარის გადმოსხმა, მაგრამ ვერ მოახერხეს, ერთი ნაღმოსანი დაკარგეს და წავიდნენ. დღეში არ არის ნათქვამი, რამდენი ხომალდი მოაყენეს ვინდავას. შეიძლება გერმანელებს დახვეწა უნდოდათ და მხოლოდ მეზღვაურთა რაზმის გადმოსხმას აპირებდნენ, უფრო კი საფიქრებელია რომ მათ უფრო ფართე განზრახვა ჰქონდათ, ე. ი. აქედან მიტოვა-რიგასკენ წასვლა და ზღვისკენ გადახვეწილ ხაზის გასწორება და მისი გადმოტანა რიგა-კოენოს მიმართულებით. თუ მათი განზრახვა სერიოზულია, ამასაც მალე გავიგებთ, რადგან ამ შემთხვევაში ისინი კიდევ გაიმეორებენ სადესანტო ოპერაციას.

დღის განსაკუთრებით ლიუბლინის გუბერნიისაში. მასზე მეტი მნიშვნელობა აქვს გენერალ მაკენზენის დიდძალჯარს, რომელიც შედგება 8 თუ 9 კორპუსისგან, ე. ი. 350-400 ათას კაციდან. ეს ჯარი მარცხენა წვერიდან იყარება მდინარე ვებრუსის, მარჯვნივ—საუგს. მთავარ-სარდლის შტაბი იუწყება, რომ მაკენზენის ჯარი კვლავ წინ მოიწევს ზამოსტი-სოკალის ხაზით, ზამოსტი-ისტორიული ადგილია. აქ შარშან ავგისტოში რუსის ჯარმა დაამარცხა ავსტრიის ჯარი და მრავალი ტყვე იგდო ხელში. იგი მდებარეობს რუსეთს რავას ჩრდილოეთით 60 ვერსის მანძილზე, ხოლო რუსეთ-ავსტრიის საზღვრიდან—35 ვერსით. აქედან ჩრდილოეთით დიდი გზა მიდის, რომელიც კრასნოსტავიდან (აქაც დიდი ბრძოლა იყო ავგისტოში) ერთი გზა ლიუბლინისკენ უხვევს, მეორე—ხოლმისკენ, რომელიც ზამოსტიდან სწორი ხაზით 45 ვერსით, ხოლო გზით—65 ვერსის მანძილზე, სოკალი გალიციის ჩრდილოეთ კუთხეშია, საზღვრიდან 10 ვერსის მანძილზე, მდინარე ბუგის ნაპირზე და აქ თავდება რუსეთს რავადან მომავალი რკინის გზა.

## დეკეშები

**თბილისი, 17 ივნისი.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან: 15 ივნისს ზღვის რაიონში სროლა გრძელდება. ოლთისის მიმართულებით ოსმალებს უნდოდათ საფარი ამოეთხარათ ტორტუმ-ჩაის ნაპირად, მაგრამ იმათაც კლამ უწყალოდ ჩაიარა. დღის 2 საათზე ოსმალები შეეცადნენ გვი-დავას ქედზე იერიში მოეტანათ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ პოზიციებზე. საღამოზე ხელმეორედ შეეცადნენ იერიშის მოტანას, მაგრამ ამაოდ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.  
**პეტროპოლისი, 17 ივნისი.** მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება: 15 ივნისს გერმანელთა გემების მთელი რიგი სანაპირო ჯავშნოსანის წინამძღოლობით

ვინდავისაკენ წამოვიდა და ნავთსადგურს დაუშინა. იმ ახლა 4 მსუბუქი კრეისერი და რამდენიმე ნაღმოსანი. სცილობდნენ, ნაპირზე ჯარი გადმოესხათ. მაგრამ რუსის არტილერიამ შეაჩერა. ერთი ნაღმოსანი წააწყდა ნაღმს და აფეთქდა. ამავე დროს რუსის ნაღმოსნები გამოვიდნენ და არტილერიის ცეცხლით შეებრძოლნენ კრეისერებს და ნაღმოსნებს, რომელნიც ვინდავის ჩრდილო სანაპიროზე ოპერაციას ფარავდნენ. მალე კრეისერები აიძულეს უკან გაბრუნებულიყვნენ. შავლის რაიონში, ნემან-ნარევის ბრძოლის პირზე და ვისლის მარცხენა ნაპირზე მდგომარეობა უცვლელია. რაც შეეხება ვებრუსისა და ბუგის შუა რაიონს აქ გერმანელები კვლავ განაგრძობენ წინ წამოსვლას. ამ ყაბად ბრძოლა ხდება. ზამოსტი-სოკალის პირზე-დასავლეთ ბუგზე და გნლია ლიპასთან 15-16 ივნისს რუსებმა მოიგერეს მთელი რიგი გერმანელთა იერიშებისა. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ გერმანელები დნესტრზე გადადიან გლიზთან. აქ რუსის ჯარმა იერიში მიიტანა, გერმანელები შეაჩერეს და რამდენიმე ასეული ტყვედ წამოიყვანეს.

**სოლუნი, 15 ივნისი.** მიტელინიდან იუწყებიან, რომ ინგლისელთა წყაქცევა დარდნაღმში შეიპარა და რამდენიმე გემი დაღუპა. ამ ამბებზე დააფრთხო ოსმალები. მათ მრავალი ნაღმები გააბნეეს აქ, რათა ხელი შეუშალონ მათ შემდეგ ოპერაციებს.

**ბოკო, 16 ივნისი.** გეროს ვადა-წყვეტილებას სამინისტრო საიდუმლოდ ინახავს. კოტოდან მარკოზ საიონდის ჩამოსვლას უკავშირებენ გეროსთა შორის თათბირს.

**როში, 16 ივნისი.** ცნობა მთავარ სადგომიდან 15 ივნისს: მთელ ფრონტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. კარნიში სამთო არტილერიამ ზარბაზნები დაუშინა მტრის ბანაკს, რომელიც პალკოლოს მხარეებზე იმყოფებოდა. სამხედრო მოქმედებას ცუდი ამინდი ხელს უშლის. მტრის აუროპლანები ერთ-ერთი მოქმედებას იჩენენ, თუმცა მათს ყუმბარებს ზიანი არ მოაქვთ ჩვენი ფრთის.

**სტოპოლი, 17 ივნისი.** როგორც ბერლინიდან იუწყებიან, ბირჟაზე სულიერი განწყობილება დაცემულია. ამის მიზეზად ასახელებენ ბალკანეთის სახელმწიფოების ავსტრია-გერმანიისთან დამოკიდებულების შეცვლას და საიმპერიო კანცლერის ვენაში გაგზავრებას. გერმანიის ყველა ქალაქის მუნიციპალიტეტს საგრძნობი ზარალი მოსვლია შემოსავლის შემცირებისა და მეომართა ოჯახებისთვის უხვად დახმარების გამო. მარტო ბერლინის ქალაქი ომში გასულთა ოჯახებისთვის 40 მილიონი მარკა დაუთმობა.

წყლის ნაკლებობის გამო გერმანიის ლაშქარში თავი იჩინა ავადმყოფობამ. განზრახულია ჯარის საქრობებისათვის ჩამორთმეულ იქმნას რაც კი გერმანიაში ლული მოიპოვება. უკვე ბავარიის კორპუსისათვის ყოველდღიურად 250 ვაგონ უნდის რეკვიზიციას ახდენენ.

რუმეშილი ვიხსნა ბანკი, რომლის მიზანიც არის ვაცის სესხი რუსეთისათვის წარსადგენ საჩივრის ქაღალდების და ვალდებულების საბუთების გირაუნობით.

**სტოპოლი, 17 ივნისი.** გაზეთ „დაგენიგეტერში“ დაბეჭდილია შევეციის პეტროგრაფიული დესპანის განცხადება. გაზეთი სენატორის გერენს მუდმივ ვაფრთხილებათა და აგრეთვე შევეციის მემარჯვენი გაზეთების გერმანიის ოფიციალური გამოსვლის გამო ამბობს: უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ შევეციას და რუსეთ შორის ურთიერთობის შესახებ საჩივარი არა აქვს რა, მაშინ როდესაც გერმანიისა და ინგლისის წინააღმდეგ სასაყვედურო ბევრი გვაქვს. ეს გარემოება ყველაზე უფრო ნათელ-

ჰყოფს, რომ შემცდარია შეხედულება სენატორის გერენსი, რომელიც ცდილობს შევეცია ნეიტრალიტეტიდან გამოიყვანოს.

**ვაშინგტონი, 15 ივნისი.** სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ტექსტი იმ ნოტისა, რომელიც გერმანიას გაუგზავნა 11 ივნისს. ამ ნოტაში ამერიკა წინადადებას აძლევს გერმანიას ხელმეორედ გადასინჯოს გერმანიამ თავისი პასუხი დიპლომატიურ მოლაპარაკებისა დალუპულ გემის „ვილიამ ფეის“ შესახებ. ნოტაში ნათქვამია, რადგანაც გერმანიამ დადასტურა საკუთარი პასუხისმგებლობა გემის დალუპავზე, ამისთვის შეერთებულ შტატებს შეუძლებლად მიაჩნია, თითქოს გერმანიას უფლება ჰქონდეს ხელი შეუშალოს კონდრანდის გადაზიდვას ამერიკულ გემებით და დალუპოს როგორც გემი, ისე კონდრანდა.

**ლონდონი, 15 ივნისი.** ქვედა პალატამ ერთხმად მიიღო სესხი 50,000 მეზღვაურის შესახად.

საზღვაო სამინისტროს მდივანმა მაკინამარამ სთქვა, ახალი დამატებითი სამხედრო ფლოტის კამანდა უნდა უდრიდეს 300,000 კაცს. ინგლისს თავის დრომის ქვეშ უკვე იმდენი ჯარი ჰყავს, რამდენიც საკმარისია დღევანდელ პირობებში. სამოქალაქო ხაზინის პორტმა ლამბერტმა განაცხადა, რომ სამხედრო ფლოტი თანამედროვე ინგლისისა სრულეებით მზად არის პასუხი ვაცის ყველას ამისთვის მას სამხედრო სურსათიც საკმარისი აქვს.

## შურნალ-გაზეთიდან

### იტალია ფლოტს გზავნის დარდნელში

რომიდან „ტრიბუნა“ იუწყება, რომ ახლო მომავალში იტალია სამხედრო გემებს გაგზავნის დარდნელში; ეს გემები უფრო გამოდგება დარდნელის ასაღებად, ვიდრე ავსტრიულ კრეისერებთან საბრძოლველად. ნაცულად ინგლის-საფრანგეთი თავის კრეისერებს და ნაღმოსნებს გაგზავნის აღრიატიულ ზღვაზე.

### ფრანგი ავიატორები

პარიზიდან იუწყებიან, რომ ომის განმავლობაში 15 პილოტი დაიღუპა, 10 დაიჭრა, 9 ტყვედ ჰყავთ წაყვანილი გერმანელებს, დანარჩენი 45 თავგანწირვით მსხურებთან ჯარს და მათი ღვაწლი სამშობლოს წინაშე დაუფასებელია.

„ბირე ვედ.“ ატყობინებენ: დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ გერმანიის საზღვაო მინისტრი ფონ-ტირპიცი და კანცლერი ბეტმან-გოლვეგის შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილი. მოელიან კანცლერის სამსახურიდან გადადგომის ვილჰელმი რევევია, მას არ უყვარს ტირპიცი, მაგრამ იძულებულია მისი პოლიტიკურ მიმართულებას გაჰყვეს. ბეტმან გოლვეგი კი მორჩილი ამრულელებელი იყო ვილჰელმის სურვილებისა.

### ავსტრიის იმპერატორი

პარიზიდან იუწყებიან, რომ ავსტრიის იმპერატორი ფრანც იოსები ახალ ჯარებს თხოულობს გერმანიისგან. ბეტმან-გოლვეგი და ფონ-იაგოვ ბურიანთან მოსლაპარაკებლად ვენაში გაემგზავრნენ.

### იტალია და ოსმალეთი

„ბირე ვედ.“ პარიზიდან ატყობინებენ, რომ „Matin“-ის ცნობით, ოსმალეთის ელჩმა პასპორტები მოსთხოვა უცხო საქმეთა მინისტრს სონინოს.

### მორიგება

კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობებით ბეტმან-გოლვეგის და იაგოვის გამგზავრებას ვენაში ის მიზანი აქვს, რომ დაიყოლიონ ავსტრია, რათა მან რუმინის დაუთმოს ზოგიერთი პროვინცია და მოამზადონ ნიადაგი ოსმალეთისთვის, რომ მათაც უეყოყნოდ დაუთმონ ცოტა რამ ბულგარეთს.

პეტროგრაფის დიპლომატიურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სერბულ გაზეთ „პოლიტიკა“-ში მოთავსებულმა წერილმა, რომელშიც ის აზრი იყო გამოთქმული, რომ თუ ბულგარეთი აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს ამ საერთაშორისო ომში, ამის მიზეზია საიდუმლო შეთანხმება ბოლგარისა ავსტრია-გერმანიისთან, პურის უქონლობა, რომელიც ოსმალეთს და გერმანიას მიჰყავდა, და თოფების უქონლობა, რომელთაში ორი მესამედი ოსმალეთს მიჰყავდა.

### თუჯის ყუმბარები

ამ უკანასკნელ დროს გაგრძელდა ხმა, თითქოს გერმანია თუჯის ყუმბარებს ხმარობდეს თავის ზარბაზნებისთვის. ამის შესახებ ინგლისის პარლამენტის ზოგიერთმა დეპუტატმა შეიტანა შეიქტანა სამინისტროში. მათ მოითხოვეს მზავს ყუმბარების დამზადება ინგლისში, რადგანაც, მათი აზრით, ეს ყუმბარები განსაკუთრებულ სიძლიერისა არიან და შედარებით ნაკლები ღირება და ნაკლებ დროს თხოულობს მოსამზადებლად. ამ შეიქტანის რედაქცია გაუსტონს ეკუთვნის. მეორეს მხრივ სპეციალური უფროსი „ინჟინერი“ სრულიდ უარყოფს თუჯის ყუმბარის ღირსებას, რადგანაც, როგორც ვიცით, თუჯის ყუმბარები, თუ შეიძლება ითქვას, პირველი ყუმბარებია, რომელიც გამოიგონეს რამდენიმე ასი წლის წინად, ხოლო თანამედროვე ფოლადის ყუმბარები და შრომანელები გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე გერმანელთა საზოგადო თუჯის ყუმბარა. უფრო ნაღი „ინჟინერი“ იმ აზრისაა, რომ თუ მართლა ეს ხმა გამართლდა და გერმანელები თუჯის ყუმბარებს ხმარობენ, ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ მათ სამხედრო სურსათი შემოლევით და ძველ მასალებისთვის მიუყვითათ ხელი. (დ.)

### გერმანელთა ახალი გემები.

ნიუიორკიდან „ნოვ. ვრ.“ ატყობინებენ, რომ გერმანიას ამ ყაბად დაუსრულდება ახალი დრედნოუტის აგება, რომლის წყალწვევა უდრის 25,600 ტონს, ამის გარდა დაუსრულდება ახალი კრეისერი 26,200 ტონა წყალწვევისა, თვითუფრო აკეთებს საათში 28 კანონს და შეიარაღებულია 12 ხუთმეტრ დღუმინი ზარბაზნებით. ასევე დაუთმავრებიან ორი სხვა კრეისერი. ამათაც შეიარაღებენ

ხუმორი ღუმინი ზარბაზნაით. ანაირად გერმანიის ეხლა ექვე-  
ბა ოთხი ახალი დრენდოუტი და მრავალი მეტროლი კრეისერები. ლიევის მახლობლად კოკერილის ქარხნებში გერმანულად დაუმთავრებიათ 12 პატარა წყალქვეშა, 200—250 ტონიანი წყალ-წყვილი. ეს წყალქვეშანი შეიღება და-  
იშალის და რკინის გზით სურვილისამებრ გადიტანონ. მათი სისწრაფე წყალ-ქვეშ უდრის 12 წყალ-წყვილს, ხოლო წყლის ზემოდ 16 კვანძს. წყალქვეშას შეუძლიან გამოუშვას ერთსა და იმავე დროს ორ-ორი ნაღმი. ქარხნები „გერმანია“, „კრუპისა“, „ველკანა“, „პოლვალდი“, „ალომი და „ფოსი“ და „შინაუ“ ომის დაწყებიდანვე აგებენ 24 წყალქვეშას 1200 წყალწყვი-  
სას, თვითუფლი წყალქვეშა აკეთებს 16 კვანძს, ხოლო წყალს ზევით 20 კვანძს. ამ ნაევებზე ოთხ-ოთხი აპარატებია და ორ-ორი სწრაფმსვლილი მძიმე ზარბაზნი. ნაევები საკმაოდ სწრაფმსვლილია. იმავე ქარხნებში აგებენ 800 ტონიანი 12 წყალქვეშას, თვითუფლი 15 კვანძიანი იქნება წყალ ქვეშ, ხოლო წყალ ზე-  
ვით 20 კვანძიანი. ასევე აგებენ 300 ტონიანი 12 პატარა წყალქვეშას, 14 კვანძიანს, ხოლო წყალ ზევით 18 კვანძს.

**მისწავლოთ კასტივისკვამ**

იდეური სიმალე და სულის ზეური სიფაქიზე რჩეულის ხედრია. პირველ ყოვლისა საჭიროა პრედილექცია, ერთისა და მეორის აღმოსაცენად. ცდითა და გარჯით პიროვნება ამით ვერ შეიძინებს აზროვნებას. ისინი თანეებებიან მას შობილად. ეს თვისებანი ინდივიდუალად საზღვრულ არიან წინასწარად, გარეშე ჩვენის შეგნებულის ჩარევისა, გარეშე პიროვნების ნებისყოფისა. თავისთავად ყოვლად აუცილებელი, მარტოდ მარტო ბუნებრივი პრედილექცია უმეორია გასა-შლელად, გასახარებლად იდეური სიმა-  
ლოსა და სულის ზეური სიფაქიზისა. ემ-წყვეტი მუსაიფი და მეგობრობა კაცობრიობის შეგნება—შეიღება ნაწარ-  
მოებთან, მარადი წაგება და გარდაქმნა ადამიანში რომ მარხია იმ ცხოველურ ცხსაბამისა, გონების ჯან-გაუტყებელი კონტროლი და მტკაც კულტი ინდი-  
ვიდუში მარცხად რომ გვიღვლებს ამ ჩა-  
ლალ სულთა-სწრაფვისა,—მეორე პირი-  
ბა, პირველის გვიარდვე აუცილებელი და გარდაუვალი. წინასწარი პრედილექ-  
ცია და პირადი ცადინი, პირველი—თან-  
ბოძებული, მეორე ოფლითა და შრომით შესაბენი,—ეს ორი მომენტია კაცთა მო-  
ღვმის შეფურობას ძირს რომ უმტკი-  
ცებს.

განგება არც ქართველობას დასავლად ხელცარიელი. პირველი მომენტი ქარ-  
თველშიაც მოიპოვება, უთუოდ; მეორე კი, რომელიც ფუნქცია ენერჯის შეგნე-  
ბულად ხარჯვისა და პიროვნების ნების-  
ყოფის მიზან-შეწონილ მოხმარებისა, მე-  
ტად მკრთალაა, უსუსური.

ბუნებრივი ნიჭებულბა ჩარხული რჩე-  
ბა, უმეტრება, უხასიათობა და გემოვნე-  
ბის სიტლანქე გულსაზარად ამოტივ-  
ტივებს ხოლმე ჩვენი ცხოვრების ზედა-  
პირზედ. სულ ცოტა რამ საკმარისია ამისთვის. ეს დამაფიქრებელი ნაკლია ჩვენი ეროვნული ვითარებისა.

გასულ დღეებში ჩვენი პრესის სიტყვა-  
პასუხი ამ ზნე-უბადრუკობის მოუღიდე-  
ბელი ვადაშლა იყო. მსკვანანა ორგა-  
ნომ „სახალხო ფურცლებსა“ პირველი  
ხმა მისცა, ყოვლად შეუწყნარებელი ტო-  
ნისა და სიტყვების ხმარებით. შემდეგ  
ამას მოჰყვა ბ-ნი კიტა აბაშიძის საქციე-  
ლის დაფასება, რამაც უადვილო სიტ-  
ყვები ათქმევინა „აზრსა“ და „საქართვე-  
ლოსა“.

გულსაკლავი იყო აწყვეტილი ჯინის  
ეს მდაბიო, უკადრისი კილო... ურჩევნია  
კალამი ხელში ჩაიმატეოროს და შესაფე-  
რი ხელობა ეძიოს, თუ კალმოსანს ის  
ვერ შეუგნია, რომ საზოგადოებრივი აზ-  
რის შექმნელისა და მისთვის მართებს  
ეთიკის დაცვა და მკითხველი საზოგა-  
დოების გემოვნების გაფაქიზება! მოძ-  
ღვრის როლში გამოსვლას წინ უნდა  
უძლიდეს სულისა და გრძობის ხანგრ-  
ძლივი გაწმენდა. აზრის სიმალე და  
სულის სიფაქიზე თვით ძალა საკაცობ-  
რიო იდეალად ვადიქცა და იმ თავით-  
თვე სტიმულია ადამიანის სულიერი  
ეგოლიფიკისა. ამ იდეალის მოახლოვება  
შეიძლება არა პიროვნების განქიქებით,  
არამედ მისი კულტურითა და კრძალული  
პატივისცემით. ვისწავლოთ ეს!

ს. კ—ლია.

**თავზი, ჩვენი კილო და პითხვა-პასუხი**

„სახალხო“ კიდევ ერთი წერილი  
უძღვნა „საქართველოს“. მას დაეხმობით  
უნდა ჩვენი პოლიტიკური ვინაობის გაგე-  
ბა და „ეს სურვილი იმდენად ბუნებრი-  
ვია“, რომ მას არ ეგონა მისი ცნობის-  
მოყვარობა „ვისმესთვის ან გასაკვირ-  
ველი ყოფილიყო ან საწყენი, მიუხედა-  
ვად ამისა, „საქართველომ“ თავიდანვე  
შეურიგებელი კილო აიღო“.

უკან მივიხედოთ და ზოგი რამ მოვი-  
გონოთ. პირველ ნომრიდან მოყოლებუ-  
ლი ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ  
„სახალხო“-ელთა შესახებ ხმა არ ამოვი-  
ვლია და თავიდანვე გადაწყვეტილი გვქონ-  
და ამ სისხლის წვიმების დროს მოვირ-  
დებოდით ერისთვის მაგე კამათს, და-  
ვას, ერთმანეთის გამწარებასა და უბრა-  
ლო სიტყვებით ურთიერთობის გამწე-  
ვებას. ჩვენ ჩვენი სიტყვა შევასრულეთ.

ეხლა ვნახოთ როგორ მიეგება „სა-  
ხალხო“ თავის ახალ „მოძის“ დაბადე-  
ბას, რით გაამხნევა და როგორ დაულო-  
ბა მას გზა ეკლნი. „სახალხო“ კვირის  
ბოლოში დაბეჭდა წერილი ი. გედევანი-  
შვილისა, რომელმაც შეატყობინა ქარ-  
თველ საზოგადოებას, რომ „რამდენიმე  
იმედ დაკარგულმა მოხელემ და უსაქ-  
მო ინტელიგენტმა განიზრახეს პარტიის  
დაარსება, ასე ვთქვათ, „ზევიდან“. რა-  
საკვირველია, მათი ცდა უნაყოფოდ ჩაი-  
ვლინა. მერე: „ასეთი ცდა და მოქმედება  
უფრო პოლიტიკურ ავანტიურის სახეს  
ღებულბს. ვიწრო პირადი თავმოყე-  
რობა და მხოლოდ სახელის მოხვედრის  
ცდა ნამდვილ საზოგადო მოღვაწის პი-  
როვნებას ვერ შეგქმნის და მით უმეტეს,  
პოლიტიკურ პარტიას ვერ დაბა-  
დებს. მღვრიე წყალში ხელების თათუნი  
ვითომდა მის დასაწყენად, ნამდვილად  
კი გემრიელ თევზის დასაქერად, წყალს  
უფრო აამღვრეს და საზოგადო ცხოვ-  
რებაში ავანტიურისმს გაამეფებს.—რო-  
დესაც მოგიწოდებენ შეკავშირება-შე-  
თანხმებისათვის, ყველამ ეს კარგად უნ-  
და გაითვალისწინოს“.

ეს რომ ამოვიკითხოთ „სახალხოში“,  
ერთმანეთს ვეკითხებოდით, ნეტა ვისზე  
და რომელ პარტიაზეა ლაპარაკი, თან  
ირველი ვინედვოდით და ექმბდით  
ჩვენს გარდა სხვა ახალ პარტიას. მაგ-  
რამ ვერაფერ ვაგვეთ, რადგან რაიმე  
პარტიის დაარსება არავის განუზრახავს.  
ჩვენ არ გვეჯეროდა და არც გვინდოდა  
დაგვეჯერა, რომ „სახალხო“ ჩვენ ამო-  
გვიღებდა მიზანში. იმ დღეს და მეორე  
დღესაც მრავალს ჩვენს ნაცნობ-მეგო-  
ბარს შეგვხვდით და ყველამ ნუშეში  
გვცა, თითქო სახლში მკვდარი გვეყოლო-  
და, ყველამ თითი დავავადო და გვკითხა,  
რით დაიმსახურეთ „სახალხო“ ასეთი  
წყობილა. ჩვენ მაინც არ გვეჯეროდა.  
მესამე დღეს ზემოდ ამოწერილი ნაწყე-  
ტები პრესაში გადმოგვქედეთ და თავა-  
ზიანად ასე შევიკითხეთ ავტორს: „ნეტა  
რას ნიშნავს ეს ნართაული ნაწერი და  
ასეთ მარგავს ეტ სიტყვების უდრო-უდ-  
როოდ და უადრესოდ ხარჯვაო? ჩვენ  
დარწმუნებული ვიყავით, რომ ი. გედე-  
ვანიშვილი იტყობა: თოვდ პაერში გავი-  
სროლეთ, თქვენთვის არ დამიბიზნებიაო,  
მაგრამ... მესამე დღეს „სახალხოში“ ასე-  
თი პასუხი მივიღეთ: ეს წერილი „И  
востребованія“-დ იყო გაგზავნილიო,  
ე. ი. ვინც იგი მოითხოვა, იმან მიიღო,  
ე. ი. „საქართველომ“-ზე იყო დაწერი-  
ლიო.

უნდა გამოვტყდეთ და ვსთქვათ, რომ  
ამ პასუხმა ჩვენს რედაქციასა და მეგო-  
ბრებში უკიდურესი აღშფოთება და გუ-  
ლისწყობა გამოიწვია. ვიქორბდით და  
ვერ გაგვეგო აზრი და მიზეზი ასეთი  
მწევე მითრახისა. როგორ? ჩვენ „იმედ  
დაკარგული მოხელენი და უსაქმო ინტე-  
ლიგენტები“ ვართ! განა იმისთვის შეე-  
ხებით მძიმე უღელში, რომ „პოლიტიკურ  
ავანტიურის“ ურემი გაწვით! ნუ თუ  
ჩვენი ზრახვა და მიზანი ის არის, რომ  
„ვიწრო პირადი თავმოყვარობა“ დაე-  
კმაყოფილოთ და „მხოლოდ სახელი მო-  
ვიხვევით“! ან ეს რაღა არის—„მღვრიე  
წყალში ხელების თათუნი გემრიელ თე-  
ვზის დასაქერადო!“ ნუ თუ მართლა ასე  
ვიკინობენ „სახალხო“-ელბო? რა პასუხი  
უნდა გაგვეცა ამ ხალხისთვის? სხვა ჩვენ  
მაკვირად დაიწყებდა იმის ჩხრეკას, თუ  
სად „მოიხვევს სახელი“ „იმედ დაკარ-  
გულმა მოხელეებმა და უსაქმო ინტელი-  
გენტებმა“, ან სად იყვენ „პოლიტიკური  
ავანტიურისტები“, ან კიდევ—ვინ, რო-  
დის, სად აამღვრა წყალი და რამდენი  
თევზი დაიჭრა. მაგრამ ჩვენ მკითხვე-  
ლი დაინდეთ, უურნალისტის ეთიკას  
დავემორჩილეთ და სახუმარო წყობურ-

ტით ვუბასუხეთ იმათ, ვინც ასე მოულო-  
დნელად ლოდ დაგვცა თავში. კეტ-  
დარტყული წყობურტს ვეღარ იგრძნობს,  
და ჩვენც უტრადლება არ მივაქციეთ  
„სახალხო“-ს მეორე მოწმობას, სადაც  
ჩვენ შესახებ ეწერა: „უსუსურნი“ არიან  
და „საზოგადოებაში გაბატონება უნდა-  
თო“.

ამის შემდეგ ბ. ჯ.—შვილს უკერს, რა  
იყო „საწყენიო“, და ჩვენვე გვედებოდა:  
„თავიდანვე შეურიგებელი კილო აიღე-  
ნო“. საკვირველი ის კი არ იყო რომ ი.  
გედევანიშვილის წერილისა და პასუხის  
წამკითხველმა რამდენიმე მკვებე სიტყვა  
იგმა, არამედ ის, რომ „ავანტიურისტი-  
ტმა“, „მითევზემ“ და „იმედდაკარგულმა  
მოხელემ“ ზემოხსენებულ წერილის ავ-  
ტორს ხელი არ წაავლო და არ უთხრა:  
„მოწყალო ხელწიფე! თქვენ პოლი-  
ტიკურ და საზოგადოებრივ შანტაჟის-  
ტობას მბარალენთ. გზთოვთ ეხლავე,  
საქვეყნოდ დაამტკიცეთ თქვენი ბრალ-  
დება!“

აი ასე მოგვწავლა „სახალხო“-მ, ასე  
დაველოცა გზა „თევზებით“ ფენილი,  
ასეთი „მგლის მიწობა“ მოგვცა ხელში  
და ქართველ ერს ასე გააცნო ჩვენი  
თავი:

— პოლიტიკური ავანტიურისტები და  
მღვრიე წყლის მკითხვენი... გზთოვთ იც-  
ნობდეთ!

კეთილი და პატიოსანი! პოლიტიკურ  
მოპირდაპირისა და მისი ხერხის გაცნობა  
ფრიალ სასარგებლო საქმეა. რაც გავი-  
გეთ, ხელზე დაგვივეთ და დავისსმებთ,  
იქნება სხვაგან რა სვა დროს გამოგვა-  
დგეს; ეხლა კი მკითხველის სინდისზე  
და სამართალზე მიფიფია გარჩევა იმისა,  
თუ ვინ ხმარობს ვენში უკადრის კილოს  
და ქამანდს, „სახალხო ფურცელი“ თუ  
„საქართველო“.

ასეთია მკრეი ამბავი შესახებ „თევ-  
ზისა“ და „ჩვენი კილოსი“. „კითხვა-პა-  
სუხი“ ხელ იყოს.

მ. ა—ლი.

**ახალი ამბავი**

— ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა.  
ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა ექიმებს რჩე-  
ვით თავისი ძმის სახლიდან გადავიდა  
საქემოდ ქართულ ლაზარეთში, რომე-  
ლიც ქართულ გიმნაზიაში მოთავსებუ-  
ლი. ავადმყოფს სწამლობენ ექიმები მუ-  
ხამე, მახვილაძე და გომარეთელი. რო-  
გორც ექიმები თქვამობენ, ისევე წყალი  
უნდა ჰქონდეს ჩამდგარი მარცხენა კე-  
დრით, მაგრამ ამისათვის ოპერაცია არ  
არის საჭირო, წამლებით აპირობენ  
წყლის განდევნას.

— სიკეთის დამახსოვნება. კაპ. ი.  
დ. ყანაველს, რომელიც ამ მოკლე ხან-  
ში მტრის ტყვიამ განგმირა ავსტრიე-  
ლების ფრონტზე, თავისი მამაცობით  
მე28 სული სომხის ქალი და ბავშვი გა-  
დაურჩენია ოსმალების მიერ ამოუღებ-  
სავან სოფ. თაბათში (ართვისის ოლქი),  
ამისათვის სომხეთა ცენტრალურმა კომი-  
ტეტმა და საქველმოქმედო საზოგადოე-  
ებამ, გაიგეს რა კეთილმყოფელის სი-  
კვდილი, ერთხმად დაადგინეს, მისცენ  
გმირის სახლობას ერთდროულად 300  
მანეთი და როცა მიცვალებულის ცხე-  
ლარს მოასვენებენ თბილისში, დაესწონ  
მის დასაფლავებას.

— ზენერალ გ. ნ. ყაზბეგის მესამე  
შვილის სიკვდილი. გენერალი გ. ყაზ-  
ბეგის ერთმა შვილმა ბრძოლის ველზე  
დაღლია სული, ხოლო მეორე მისი შვილი  
ბრძოლის ველზედვე უშუბ-უშვლოდ დაი-  
კარგა და ჯერ არავინ იცის, ტყვედ  
ჩაუვარდა მტრის ხელში და ცოცხალია,  
თუ სადმე მოკვდა. ეხლა კიდევ, როგორც  
ცნობა მოვიდა, მისი მესამე შვილი რა-  
ფიელი მოულოდნელი შემთხვევის მხვერ-  
პლი გამხდარა პეტროგრაფში: იგი თა-  
ვის ცოლთან ერთად ავტომობილით  
მინავლა, ავტომობილი რაღაცა შემ-  
თხვევით გადაბრუნებულა და დამსხვრე-  
ულა და რაფიელ ყაზბეგსაც იქვე სული  
დაუღვია, მის ცოლს-კი ხელი მოუტე-  
ხია. როგორც ამბობენ, მიცვალებულს  
მოასვენებენ დასაკრძალავად მის სამ-  
შობლო სოფელ სტეფანწმინდაში. რა-  
ფიელ ყაზბეგი სამხედრო ინჟინერი იყო  
და, რამდენდაც ვიცით, ამ ჯამდ ვანა-  
გებდა ხელმწიფის სახალხის ავტომო-  
ბილითა მიმოსვლას.

— თბილისის ქალაქი გამგებობამ  
გაუზავნა სიღნაღის ქალაქის გამგებობას  
100 ფუთი ფქვილი და 100 ფუთი შა-  
ქარი.

— თბილისის ქალაქის გამგებობამ  
მიიღო ხაზინიდან 40,000 მანეთი 160  
ათას მანეთ ვალის ანგარიშში.

— სამხედრო-სამრეწველო კომიტე-  
ტი. 17 ივნისს საბირეო კომიტეტში კრე-  
ბა იყო, რომელსაც გარდა კომერსანტე-  
ბისა დაესწრნენ სხვა და სხვა მთავრო-  
ბის და კერძო დაწესებულებათა წარმო-  
მადგენელნი, როგორც, მაგალითად, ინ-  
ჟინერ-ტექნოლოგები, სამთა-მადნო ინ-  
ჟინერები, ქიმიკოსები, ექიმები და სხ.  
კრებამ ითათბირა სამხედრო-სამრეწვე-  
ლო კომიტეტის დაარსების საჭიროება-  
ზე თბილისში და ასეთი კომიტეტი და-  
არსებულად აღიარა თბილისში. არჩეულ  
იქნა სამი სექცია—კომერციული, ტექ-  
ნიკური და სამრეწველო, რომელთაც  
დაევალოთ დაწერილებით გამოარკვიონ  
და შემდეგ კრებას მოახსენონ, რა დახ-  
მარების აღმოჩენა შეუძლია თბილისის  
კომიტეტს მხედრობისათვის. შემდეგს  
კრებაზედ ამასთანავე თათბირი გაიმარ-  
თება აგრეთვე საოლქო კომიტეტის და-  
არსების შესახებ.

— ძმ. ზუბალაშვილების სახალხო  
სახლი. შაბათს, 20 ივლისს ქართველ  
მსახიობთა მიერ ტასო აბაშიძის, ვალ.  
გუნიასი და ვ. გამყრელიძის მონაწილეო-  
ბით წარმოდგენილი იქნება ალ. ყაზბე-  
გის ისტორიული პიესა. „ქეთევან წამე-  
ბული“.

— ექიმმა ივ. სპ. ელიაშვილმა დაამ-  
თავრა დიდი რომანი მეთორმეტე საუ-  
კუნიდან „უკვდავნი“. ავტორს სიუჟეტად  
აუღია როგორც სხენებულ საუკუნის სი-  
ლიადე, ისე მისი სამკაულის თამარისა  
და შოთას სიყვარულის გამოხატვა. რო-  
მანი ფრიალ საინტერესოა.

— სანიტარული რაზმი. როგორც  
ვიციტ, ბაქოს ინტერნაციონალური კომი-  
ტეტის მიერ შემონაწირო 5,000 მანე-  
თით ქართველი საქველმოქმედო საზო-  
გადოება აპირობს აჭარაში გაჭვანის  
სანიტარული რაზმი. რაზმის შედგენა  
საზოგადოებამ მიანდო ექიმს შალვა მი-  
ქელაძეს. რაზმისათვის საჭიროა: 1 ექი-  
მი, 1 ბეგია ქალი, (სასურველია ფერ-  
შლოაც (იკოლეს) და 1 ფერშალი ვაჟი.  
მსურველებმა უნდა ნახონ ექიმი მიქელა-  
ძე ქალაქის გამგებობაში ნაშუადღვის  
1 საათზე. ფულის შემომწირველთა სუ-  
რგისათვის, საჭიროა რაზმის წევრებ-  
მა ქართული უკოდნენ. ვისაც ცხენზე  
ჯდომა არ ეხერგება, იმისთვის თითქმის  
შეუძლებელი იქნება სამსახური.

— გუმწინე 17 ივნისს, გუნიბის ქუ-  
ჩაზე რეველვერით თავი მოიკლა 16  
წლის ახალგაზდამ გიორგი ალექსან-  
დრეს ძე გამრეკელმა.

— სემინარისტები. როგორც შევიტ-  
ყეთ ვაზეთებიდან, განათლების სამინი-  
სტრომ ნება დართო სემინარისტებს  
უგზამენოდ მიღებულ იქმნენ უნივერ-  
სიტეტებში.

— შაქარი. ქალაქის მართველობამ  
გამოაცხადა, რომ გამოწერილ შაქარს  
ამ დღეებში თბილისში მივიღებთო. მი-  
ღებულ შაქარი გასაყიდად განსაკუთ-  
რებულ მაღაზიებში მიეცემა კანტროლს  
გაუწევენ ქალაქის პოლიციის ვაჭრობა-  
მეურნეობის აგენტები. გირვანქა თავის  
შაქარი 20 კ. ხოლო დამტკიცებულ 21  
კაპ. ელირება. ბლომად შაქრის გაყიდ-  
ვა ქალაქ გარედ აკრძალულია. კერძო,  
საზოგადო თუ მთავრობის დაწესებულე-  
ბის მოსამსახურეებმა შაქრის საყიდლად  
უნდა მიმართონ ქალაქის მართველო-  
ბაში (მეოთხე განყოფილებაში), სადაც  
უნდა წარადგინონ წერილობითი განცხე-  
დება დაწესებულებათა უფროსის ან მარ-  
თველის ხელის მოწერიით.

— ომში დაჭრილი: ექიმი კოკოჩე-  
შვილი შალვა ვასილის ძე. ქრილობისგან  
გარდაიცვალა: პარუჩივი ამაშუკელი ნიკო  
სიმეონის ძე. დაიხრცნენ: ამბრივე შალვა,  
ანდრიაძე ალექსანდრე, ყანაველი იო-  
ანე დათივის ძე, ლაზარაძე ნესტორ  
ანტონის ძე.

— თელავი. უკანასკნელ წვიმების გამო  
კისისგვეში ჩამოინგრა კლდე, რომელმაც  
მთელი ხევი ამოავსო. თუ ხევა გაგლი-  
ჯა ჩამოწოლილი კლდე, ამ შემთხვევაში  
ოფელ კონდოლს განსაცდელი მიეღოს.

— სანიტარული 17 ივნისს მოტანილია  
თბილისში: ფქვილი 3 ვაგ., ქერი 3 ვაგ.,  
სიმინდი 1 ვაგ., ხაჭაპური 1 ვაგ.,  
ფხენილი, შაქარი 1 ვაგ., ქაშაპარილი 1 ვა-  
გ., წინაღობა 1 ვაგ., ხლი 2 ვაგ., ყველი  
1 ვაგ., შეშა 16 ვაგ., ქვისნაზხირი 1 ვაგ.,  
ბრინჯი 707 ფუთი, ლობიო 81 ფ., კარ-  
ტოფი 774 ფ., ქაბაქი 266 ფ., კვერ-  
ტბი 93 ფ., ქათმები 27 ფ., ახალი თევ-  
ზი 377 ფ., მადნეული წყალი 800 ფ.,  
რკინეულობა 204 ფ., ქალაღი 748 ფ.,  
მატყლი 980 ფუთი.

— დახმარება. ავადმყოფ ახალგაზდა  
არტისტს ა. ალექსიძეს ქართულ დრამა-  
ტიულ საზოგადოების გამგებობამ 40 მანე-  
თი მისცა ერთდროულად საქმიოდ

**მივიწყებული ფურცელი**  
(„ივერია“ 1888 წ. № 23)

თქმა არ უნდა, ძნელი გასამიჯნავია  
ადამიანის „მე“ და „ჩვენი“. ბევრს შემ-  
თხვევაში ძნელი გამოსცნობია, სად თა-  
ვდება „მე“ და სად იწყება „ჩვენი“. კარ-  
გად წარმატებული გონება უნდა და  
კარგად გაწვრთნილი გული, რომ კაცმა  
ამის გამოიჯნავს არ წაიბოძიკოს. ჩვენ-  
და სამწუხაროდ, ეს ბოძიკი ჩვენში  
ხშირად ცოდვად უნდა ჩათვალოს ბევრს  
ჩვენს ლიტერატორს. რასაკვირველია,  
თვითონ სიძნელე ცოტად თუ ბევრად  
ამისი შესაწყნარებელი საბუთია. მაგრამ  
იგი კანდიდებია, რომლითაც ზოგიერთნი  
ჩვენგანი შეჰმოსვენენ ხოლმე თავის სი-  
ტყუა პასუხს, იგი სილაღე და სითამამე,  
რომლითაც იგინი შეჰზახავენ ხოლმე ადა-  
მიანის პიროვნებას და საღვურს, გვარ-  
წმუნებს ჩვენ, რომ იგინი თავის დღეში  
არ დაფიქრებულან მასზე, თუ საჭიროა  
„მე“-სა და „ჩვენი“-ს შუა საზღვარი რამ  
დაიღოს. დაიწყებული აქვთ, რომ რო-  
გორც „ჩვენი“, ისეც ადამიანის „მე“ თა-  
ვის უკეთეს და დაუღალავ მფარველად  
თვით იმ ლიტერატურას სთვლის და  
აღვიარებს, რომლის წყალობითაც ეგრედ  
დღევულად, ეგრე წინა დაუხედეკლად  
ჩვენში გაუპატიურებულა, გაბიაბრუე-  
ბულია ადამიანის „მე“.

რასაკვირველია, ვინც ღრმად და-  
კვირვებას საგნისას ჩვეული არ არის,  
ვისაც გონების თვალი არ უჭრის და  
თბილისის ბულვარის მოძღვრება კაცო-  
ბრიობის მოძღვრებად უწამებია, იმას  
ადამიანის „მე“-ს სხენებით მიზეზი მიე-  
ცემა იფვის ფასის ლიბერალობა ვასწი-  
ოს და ჩვენ შეგვეწამოს, ვითომც ჩვენ იმ  
სამართლიანად გამოიღს ეგოიზმს ვქა-  
დაგებდეთ, რომელიც ეჩოსავით სულ  
თავისკენ ითლის, ყველაფერს თავისთვი-  
სა ჰმეობს. არა, ჩვენ იმ გრძობაზედ  
ვლაპარაკობთ, რომელსაც ადამიანის  
საკუთარის ღირსება ჰქვიან და ურომ-  
ლისოდაც არც კაცი კაცად იხსენება  
და არც საზოგადოება საზოგადოებად,  
ადამიანს მისი „მე“ გაუწადღურეთ, მის  
საკუთარ კერაზედაც ნუ მოასვენებთ,  
შინ შეესიერით, მსჯიჯგნეთ და მსწეწეთ  
სულიერად თუ ხორციელად, დღე მუ-  
დამ შიშს ქვეშ ამყოფეთ, ან ეხლა შე-  
მომიხტებიან, ან ეხლაო, ერთის სიტ-  
ყვით, საკუთარის ღირსების გრძნობა  
აპყარეთ და გაუქარვეთ.—და რაღა დარ-  
ჩება ადამიანის ცნობიერების საგნად?  
რისათვის-ღა იღვწოს? რისათვის-ღა  
მიჰსცეს მხარი თავის მსგავსსა, თავის  
მოძმესა? ან რისთვის-ღა უნდა თვითონ  
საზოგადოების არსებობა? ტყის ნაღობი  
რით იქმნება უარესი ამ როგად ვათახ-  
სიანხედ? რა განსხვავება იქმნება, პი-  
რუტყესა და იმისთანა ადამიანის შორის,  
რომელსაც თვისი „მე“, თვისი ვინაობა,  
თვითება, თვისი პიროვნება და ღირსება  
დაჰსაჩვენია.

უწმინდაესი მოვალეობა საზოგადოე-  
ბისა, ესე იგი, მთავრობისა, რომლის  
წყალობითაც ადამიანი ადამიანობს, იგია,  
რომ ადამიანის „მე“-ს დღე-მუდამ ჰფარ-  
ველობდეს, უმიზეზოდ, უდანაშაულოდ  
შინ არავინ შეუსიოს და არავის გააქელ-  
ვინოს; მის სულიერს და ნივთიერს კუთვ-  
ნილებაზედ მშვიდობით და სხვის ხელ-  
შეუხებლად ამფლობლოს და ამით, რამ-  
დენად შესაძლოა, სრულ და ბედნიერ  
ჰყოს. თვითონ მიზეზი და საბუთი საზო-  
გადოების არსებობისა მარტო ეგ მოვა-  
ლეობაა და სხვა არა-რა. ეგვეე წმინდა

მოვალეობა კისრად ადევს ლიტერატურასაც. ამის გარეშე ლიტერატურას ას-პარტიო არა აქვს.

ილია ჭავჭავაძე.

ქველი სიგელირე განსაზღვრულია

იქნება ბევრმა იცოდეს, მაგრამ უმრავლესობას ქართველებისას არც კი გაეგონოს, რომ სოხუმის ოლქში, ანუ სოხუმის ეპარქიაში, არის ერთი ძველი ეკლესია, რომელსაც ჰქვია ილიის წმ. გიორგისა. ეს ეკლესია შესანიშნავია დღეს უმთავრესად იმით, რომ შიგ დაცულია დღევანდლამდე დიდძალი ძველისძველი განძეულობა, ოქრო-ვერცხლით, თუ სხვა. მარტო ერთი ბარძი-ფეშუბი ერთს ინგლისელს მოგზაურს დაუფასებია ოთხმოც ათას მანეთად (80.000), და თითონვე უძღვებია, თუ კი მიჰყიდდნენ, მაგრამ არ მიუყიდნიათ ღვთისნიერი და გულთი ნამდვილ ქართველ ადამიანებს. ამას გარდა ამ ეკლესიას ყოველ წლიური შემოსავალი აქვს 10-15 ათას მანეთამდე, რის უმეტესი ნაწილი ჰხმარდება ამ უკანასკნელ ხანებში განათლების საქმეს; წინა დროს ადგილობრივი საზოგადოების ბნელი ძაღვებისა და ბნელი ხალხის საწინააღმდეგო და სახრავი ყოფილა. მაგრამ ადგილობრივს კრებულს დიდი ბოძოლისა და ვაივავალის შემდეგ საქმე გამოუვლევიათ მტაცებელთა ხელიდან და წესისა და კანონის დამყარება მოუხერხებიათ.

სამაგიეროდ, მეორე მხრიდან მოპვლენია ამ ეკლესიას დიდი განსაცდელი. სოხუმის ეპისკოპოს დიმიტრის მახლობლბთან ერთად ამ ექვსიოდ წლის წინად განუზრახავს ამ მილდარი ეკლესიის გადაკეთება.

და გადაწყვეტია დაეარსებინა იქ რუსის დედათა მონასტერი; ამ განზრახვას იმდენი უსიამოვნება და ალიაქოთი მოჰყვა, რომ მისი ალწერა შეადგინეს კარგა მოზრდილს წიგნს, და მეორეა, თავის დროზე კიდევ გაუზრდებდა ამ კითხვას თავისი მეისტრე, რომელიც საბუთებით ყველას ნათლად დაანახებდა უკუღმართობას ზოგიერთებისას. აი ამ გაწმენის დროს ბევრი უსიამოვნება და ბოძოლა ჰხვდათ წილად მღვდელ კ. მაგვანაძე და ხელაის, რომელნიც იქ იყვნენ გამწესებულნი.

ეპ. დიმიტრის შემდეგ იგივე გიმეორა ეპ. ანდრია, ცნობილია ვითომ როგორც ქართველთა მფარველი; მაგრამ ვერც მან მოიღწია მიზანს; ეხლა ახალმა ეპ. სერგიმ დაურიდებლად დაიწყო ისევ ძველი საქმის გაგრძელება, მხოლოდ ეს უფრო გამხდელი მებოძოლი გამოჩნდა. წინანდლები თუ კანონიერების დაცვას ცდილობდნენ, ფორმალური მინიც; ეს სულ აღარავის ეშუება. დაიწყო იქიდან, რომ ეკლესიის ერთგული თავდადებული მრავალ შრომის გამწევი ილიის ეკლესიის სასარგებლოდ და მისი სიმდიდრეთა დასაცავად შიდა. მაგვანაძე მისდა დაუყოთხავად დაითხოვა ამ ეკლესიიდან.

ეს არის პირველი ნაბიჯი ილიის ეკლესიის გადასაკეთებლად დედათა მონასტრად და მისი სიძველეთა მისათვისებლად. ამას მოჰყვება მღვ. ხელაის გადაყვანა და ამ რიგად მოიშორებს არა სასიამოვნო და ხელის შემშლელ ადამიანებს; დაპნიშნავს ყურმოპირის ყმებს და ისინი ყველაფერს აუსრულებენ, რასაც მათი მეუფება ეპ. სერგი მოისურვებს.

მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პიტრიმი, საქართველოს ექსარქოსი თავის მოყვარულს და მოწალეულს გულსყურს მიჰქცევს ამ არასასურველ მოვლენას საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში და საბოლოოდ დაუღებს საზღვარს მადა გაღვიძებულს მღვდელთაგვრებსაც და სხვა მათ თანამოაზრეობაში.

კმარა, რაც ქართული ტაძარ-მონასტრების სიმდიდრე გადავიდა სხვის ხელში ჩვენის დაუღვერობით და უყურადღებობით. ეხლა კი დროა ყველამ ხმა ამოიღოს და სიტყვა საქმედ აქციოს. მეორეა, სოხუმელმა ქართველობამაც საჭირო ყურადღება უნდა მიჰქციოს ამ საგანს.

გლეხი შვილი.

პ რ მ ს ა

„სან. ფურცელი“ ასე ახასიათებს რუსეთის შინაურ საქმეთა კურსის ცვალებადობას და პოლიტიკურ თამაშების დარიგებას.

„მაშინ როდესაც მთელი გალიცია დაპყრობილად ითვლებოდა და თითქმის

არავის ამაში ეჭვი არ ებადებოდა, პოლიტიკურ პოზიციონტზე უკიდურეს ნაციონალისტთა ლამპარი ბრწყინვალედ ანათებდა. მაშინ სლავიანოფილთა და ნაციონალისტთა კრებები, ბანკეტები და დეკლარაციები იყვნენ მოღვაწე.

პოლიტიკურ ცხოვრების ზედაპირზე სხვა ელემენტებმა ამოჰყვეს თავი. იგინი სახელმწიფოს დაცვის საქმეში აქტიურ მონაწილეობის მიღებას ლამობენ. გაისმა მათი ხმა და ეს ხმა, როგორც ეტყობა, არ დარჩება მარტო ხმად მლაღაღებლის უდაბნოსა შინა. ვაჟარ-მრეწველი, საერო ბოძო მოღვაწე, თვითმართველობანი, საკანონმდებლო დაწესებულებანი, ერთი სიტყვით ყველა, ვინც ცოტათი მანაც საზოგადოებრივი აზრის გამოხატველია, დღეს ახმაურდნენ და ამოძრავდნენ...

დღევანდელი ომის ღონისძიება თითქმის დამთავრებული ერთი განთავისუფლება და მათი თავისუფალი ცხოვრება დასახული. ასეთია დღეს გაეკუთვნა თამაშები, მხოლოდ ეს თამაშები უტანსტრა, მასში არ არის აღნიშნული არც ის ერები, ვისაც ეს თამაშები ეძლევა და არც თანხის რაოდენობა განსაზღვრული, რომელიც მათ ეძლევათ.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთათურ განყოფილების სსდომაცე.

დღევანდელ ომიანობის გამო ჩვენებურ კულტურულ დაწესებულებებს კიდევ ერთი სიმპატიური თანამომე-ამხანაგი შეემატა. ეს არის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

კავკასიაში სხვა ერებმა, მაგ. სომხებმა, კარგა ხანია დაიარსეს ასეთი საზოგადოება და ბევრს კულტურულ საქმეებს მიუძღვიან, რაკი საქველმოქმედო საზოგადოების საქმეებს ნაყოფიერად აწარმოებენ. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაც დიდი ხანია საჭიროება ასეთ დაწესებულებას და აი დღევანდელმა ომიანობამ და მისგან საერთოდ ქართველების დაზარალებამ და კერძოდ-აქარლების ახორცება-აწიოკებამ დააჩქარა სხენებულ დაწესებულების მოგვიარება.

ამ საზოგადოებისათვის მკვიდრი საფუძვლის ჩასაყრელად და მხედ მქიდრო კედლების ასაშენებლად სწორედ რომ შესაფერისი დრო არის დღეს და თუ მასში სხვა ჩვენ ქართულ დაწესებულებებივით მხოლოდ კაბინეტურმა ინტელიგენციამ არ მოიკალათა და მათი მოქმედება კაბინეტებში სჯა-ბაასით არ განისაზღვრა, უნდა ვიფიქროთ, მას კარგი მომავალი ექნება. მხოლოდ საჭიროა ეს სახალხო ცოცხალი საქმიანობა საზოგადოების ფართო წრეებში გადავიდეს და მისი მაცოცხლებელი ხალხი, ფართო მასსა შეიქმნეს.

სხენებულ საზოგადოების უმთავრესი გამგეობა თბილისში, რამდენადც გაზეთებიდან ეტყობილობთ, ენერგიულად შეუდგა მუშაობას თავის საზოგადოების გასაძლიერებლად და იდეურად მოსალოინიერებლად. ასევე მუშაობს ამ საქმეზე ბაქოს ქართველობაც. ხოლო დასავლეთ საქართველოდან-ქუთათურებზე ჯერ-ჯერობით ამას ვერ ვიტყვი, რადგან გამგეობის არჩევის მეტი თვალსაჩინო მას ჯერ არა მოუშეკრებია. მას ჯერ წევრების შესაძენად ფართო კრებაც როდი მოუწვევია და მათ პორთფელში ჯერ საქმიანობის არა ძეგს რა ვარდა ტენიკურ წვრილმანების მოგვარებისა. ვიმედოვნებთ, რომ იმერლები ამერლებს ამ საქმეშიაც არ ჩამორჩებიან და წ. კ. საზოგადოებასთან ერთად ამ საზოგადოებაშიც მუშაობას მარტო ათას საქმეში გართული პირები არ მოჰკიდებენ ხელს.

სადებიუტოდ გამგეობამ 12 ამ თვის მოახდინა თავისი სხდომა, რომელზედაც მოიწვია ბათუმის განყოფილების წარმომადგენელი ბ. სიმონ მდივანი, ახლახან აქარაში რამდენიმე ნამგზავრი, დეპუტატი აკაკი ჩხენკელი და სხვ.

სხდომა აქარლების გამო იყო მოწვეული და თათბირს საქმიანი ხასიათი ჰქონდა. აქ ვრცელი მოხსენება წაიკით-

ხა თბილის-ბაქოდან აქარაში საგანგებოდ გაგზავნილმა პ. ქემე, რომელსაც სამგზავრო ნებართვის მიღება თუმცა საქმიად გასტიკრებია, სიმინდის დამრიგებელ კომისიაში შეუღარებია თავი, მაგრამ მინც მრავალი სოფელი შემოუვლია აობრებულ-აწიოკებულ აქარის მიდამოისა, მას დიდძალი ფაქტები და საბუთები შეუკრებია აქარლების ახლანდელ ომიანობით გამოწვეულ ცხოვრების დასახასიათებლად.

ეს ნედლი მასალა მომხსენებელს ჯერ სისტემითურად არ დაუწყვია, ლოლიკური დასკვნები ამ ობიექტიურ ფაქტებისაგან არ გამოუყვანია, მისთვის სამეცნიერო საბუთების სტრუქტურა არ შეუსახამ სინქარის და უდროობის გამო, მაგრამ რაც მან ქუთათის თათბირზე მოგვხსენა, ისიც საქმიო იყო, რომ ყოველ შეგნებულ ქართველს თმა ყალხზე ასდგომოდა.

სხენებულ ვიწრო წრეზე ბ. ქემის მოხსენებამ ქუთათისში მიმე და მეტად დამოუკრებელი შთაბეჭდილება მოახდინა, ნამეტნავად მაშინ, როცა მოიყვანა დასამტიკებელ საბუთებში ადგილობრივ მოხელეებისგან მიცემული, და როცა მრავალი მისგან აღნუსხული სურათები აქარლების ახლანდელ ცხოვრებიდან და ახლანდელი ფაქტებიც დებ. ა. ჩხენკელმაც დაამოწმა ეს ამბები თავის გამოცდილებით და ამას იქ ნამყოფ ერთ გენერლის მოწმობაც დაუყო.

ამისათვის ვურჩევ ყოველ ქართველს, საზოგადოებრივ გარნობებში გამსქეალებულს, მოისმინოს ბ. ქემის უფრო შემუშავებული მოხსენება და თუ საშუალება მიეცემა, თვითვე წაიკითხოს მისი გამოცკლევა და ყოველ ჩანაწერს ღრმად ჩაუყურდეს. ის მასალაც ბევრს, ძალიან ბევრს ღაღადებს, რაც ამ ახალგაზრდის მოხსენებაში აღნუსხული. თქმა არ უნდა, ახალგაზრდა მოგზაური გაცილებით მეტს მასალას შეაგროვებდა, რომ ამის საშუალება მიეცათ მისთვის ადგილობრივ მოხელეებს. ეჭვი არ უნდა, ამისი და სხევისაც ზედ დამატებული საბუთები ჩვენი დებუტატების საშუალებით უკუთავთმაც ბევრს მოიყვანს გონს, ოღონდ ამ საქმეს მსვლელობა მისკენ გამომწყებლებმა გარდა კავკასიისა რუსეთის სფეროებშიაც და უფრო შორსაც როგორც ხმა მიაწოდონ. უშეველია, დღეს აქარლების მღვდლომიანობით საგანგებულს მიცემული ქართველობა ამ სერიოზულ საქმეს სერიოზულ მსვლელობას მისცემს, რათა იგი სადაც ჯერარს ნაყოფიერად დავეიროვიდეს.

მე აქ დაწვრილებით აღარ მინდა შევეხო ბ. ქავთარაძის მოხსენებას, რადგან იგი მას უკეთ შეამუშავებს და ლოლიკურის დასკვნებით შეზავებულს წაუკითხავს ამ საქმის დამვალბებელ თბილისსა და ბაქოში. აქ კი ჩვენი სამგვარი თვლილელი დღიური გამოცემები თუ მოსახერხებელი იქნება ვრცლად გააცნობენ თავიანთ მკითხველებს სხენებულ მოხსენებას.

გარდა ზემოთ ნათქვამისა გული არ მითმინებს, უნდა აღვნიშნო ის მეტად სამწუხარო მოვლენა აქარლების ცხოვრებიდან, რომ მათ მამულ-დებულში მოხერხებით ჩასახლებული უცხო ტომის ხალხი,

ამ გვარად მთებსა და ტყეებში გახიზნულ აქარლებს ათასგვარ მახეებს უგებენ, რომ მთავრობას არასაიმედო ქვეშევრდომებად დაუთახსონ და ამრიგად ჩამოაშორონ ისინი შთამომავლობის მიერ საუკუნებით მონაგარ ადგენ-მამულს.

გარდა ამისა, იგივე ჩარჩ-ვაჭრები და მეგახეები კისრულობენ ოფიციალურ მოწმეების როლს მოღალატეობისთვის სასამართლოში მიცემულ აქარლებისას. არის ერთი დიდი სხა ასეთი დანიტრებულ პირების მოწმეებისა, რომლებიც ახლო მომავალში სასამართლოში წარსდგებიან აქარლების ღალატის დასადასტურებლად.

და დაისაჯენ, მომავალში ზნეობრივი სასჯელია დაბრუნებულების ხედრი.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო 12 ივნისის სხდომაზე ერთ წარმომადგენლის წინადადება-მოეწყოს ქართველ ვეტილებისაგან აქარლების დაცვის საქმე ქუთათისში.

კრებამ დებ. ჩხენკელის განმარტებით და შეესებით დაადგინა: შესდგეს ქუთათისში ბიურო ვეტილებისაგან, რომელშიაც უნდა შევიდეს ორი ვეტილი ბათმიდან, როგორც ადგილობრივი პირობების მცოდნე და აქარლებთან დაახლოებულნი, რამდენიმე თბილისიდან და აგრეთვე ორი ცნობილი ვეტილი პეტროგრადიდან და მოსკოვიდან.

ამის შესახებ თათბირი ქუთათურ ვეტილებს ამ დღეებში ექნებათ. სასურველია ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთათური განყოფილება უფრო ენერგიულად შეუდგებოდეს მისთვის შესაფერ ქართული საქმეების მოგვარებას და ჩვენი ინტელიგენციის ამ საქმეში ჩაბმას...

ქუთათური მწიგნობარი.

სალამი მხატვარს

ეს ეს არის დავბრუნდი პეტროგრადიდან. როგორც მხატვარმა, ვერ მოვიტინე, რომ ჩემი თანამემამულე მხატვარ მ. თოთის გამოფენაზე არ წავსულიყავი. გულწრფელად მიხარის, რომ თითქმ არ ჩერდებოდა და ვეხდებოდა მოსდევს თანამედროვე ხელოვნებას. უკანასკნელ წლებში მხატვრულ გამოფენაზე შეამჩნევთ ერთგვარს ნიდრეკილებას, რომ ყოველისფერი ყომრალი ფერადებითა ჰხატონ. თითქმ სწორედ ასე იქცევა. მისი ფერადები ნახა პარმონიონ ჰქმნიან ერთგვარს მუსიკობას! სულით და გულით ვეგებები სამშობლო ხელოვნების ასეთს გამორჯვებას! მიხარის, რომ გვეყოლია მხატვარი, რომელიც მაღალ სწევს ჩვენი ხელოვნების დროშას და ასე რიგად უწყობს ხელს მის გაფურჩქნა-აყვავილებას.

ვეუბობ, რომ აქ იგი სათანადოდ ესმოლეთ. ეს იქიდანაც სწინს, რომ მეტად ნაკლები ხალხი დაიარება გამოფენაზე. მაგრამ ეს არ უნდა აწინებდეს მხატვარს. მოვა დრო, მაგასაც შეივრებენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას შეუძლიან რუს-ცნობილ კოლორისტ არხიპოვს გვერდში ამოუდგეს. აი ეს ორი მხატვარი მთელს რუსეთში, როგორც ფერადების საუკეთესო მუსიკოსნი. შეუძლებელია ამ გამოფენიდან ადამიანი დასვენებული არ გამოვიდეს, გამხნეებული...

სალამი მხატვარს!

ვალ. სიღამონოვი ერისთავი.

მოგონება აკაკის ცხოვრებიდან

აკაკი გავიციანი 1873 წ. ამ დროს მე ვსახებრებდი ივანოვის სამკითხველოში. ამავე დროს აკაკის მეუღლე თბილისში ჩამოვიდა. აკაკიმ სახლობისთვის ორბელიანთ ქუჩაში დაიქირავა შეიდი ოთახი. დაბინავების შემდეგ ქუთათისში წავიდა. რადგანაც ივანოვი აკაკის კარგი მეგობარი იყო, ამიტომ აკაკის სახლში ხშირად მგზავნიდა, რომ აკაკის მეუღლის მოსამსახურებებს მივსვლებოდი ხოლმე.

ერთხელ შევიტყე შედეგი: აკაკიმ თავის მეუღლეს გამოართვა დროებით 1000 მ. ქუთათისში ჩავალ და იქილად 3000 მ. ჩამოვიტანო. ის კი არა, ქუთათისში აკაკის მოვალეები დახვედრდნენ და კინაღამ დაეხრათ, მდღარი ცოლი შევირთვია და ვალს თუ გაგვისტუმრებ, ამა მამ ეხლავე იყოსო.

აკაკის ფეჭრანა: მოდი ამ 1000 მანეთით ქალად ვითამაშებ, ფულს მოვიგებ, მონაგებით მოვალეებს გაუსწორებ და დანარჩენს ჩემს სახლობას ჩავეტანო, თუ არა და ეს 1000 მ. მოვალეებს რომ დაუბრუნო, აღარა დამრჩება რა და ვერც ვერაფერს ვიშოვნო. ასეც მოიქცა. მაგრამ მან მოგების მაგიერ ის 1000 მ. წააგო, დარჩა ცარიელი, ვერც მოვალეები გაისტუმრა და ვეღარც ცოლთან ჩამოვიდა სამი თვის განმავლობაში.

აკაკი მხოლოდ მეოთხე თვეზე დაბრუნდა თბილისში. თან ცოტათდენი ფული მოჰყვა. მალე ცოლსა და ქმარს შორის უსიამოვნება გაიმართა, უსიამოვნება წრეს გადასული. უსიამოვნებაში ერთიც სტყუოდა და მეორეც. უმეტესად კი აკაკი. ამას აკაკიც ჰგონობდა. ამიტომაც ჩუმად იყო ცოლის წინაშე და ხმას არ იღებდა.

ამათ უსიამოვნებას დიდი ისტორია აქვს და მეტად საინტერესოც არის.

ამიტომ როდესაც მოვიყვან მის გასაშუქებლად. აკაკის ცოლი ჰკიცხავდა: „შენ დამტყუე, ქვეყნა პურის ფულიც არა მიტყე, ოქონე კული და მზარეულსაც სახარჯო შენ აძლიეთ. მზარეულს დღეში 7 მ. აძლევდა აკაკი, მაგრამ ხშირად ამასაც ვერ შოულობდა. ეს გარემოება უფრო აბრაზებდა აკაკის მეუღლეს, საფილიც არ მოსწონდა, რადგანაც 7 მ. რა სადილის გაკეთება შეიძლებოდა.

აკაკის მეუღლის სიბრაზეს ისიც აორკეცებდა, რომ სახლის პატრონი ქირას ითხოვდა, მეგბლის პატრონიც ქირას, ასევე სადილის პატრონი. აკაკის კი არაფერი აქენდა რომ მიეცა და მეგბლის წლებსა პატრონი მუდამ დღე ეკადებოდა, რაც დიდად აწინებდა აკაკის მეუღლეს. ასეთ მწარე გარემოებას აკაკის მეუღლე ძირედ წინააღმდეგებოდა. ამიტომ უთხრა აკაკის: რაკი ჩვენი შენახვის თავი არა გაქვს, გზის ფული მიშოვნე 150 მ., მე რუსეთში წავალ ჩემს სამშობლოში. ესეთი წინადადება აკაკის მიმდ გაუხარდა. ამით ვინსნი თავსაო, თუ არა და ჩემი სიცოცხლის დღენი ცუდად გათავებოდა. აკაკიმ დაიწყო 150 მან. ძებნა, მაგრამ სად იშოვნინდა, როდესაც დღიური 7 მ. შოვნაც უჭირდებოდა და მზარეულს დროზედ ვერ აძლევდა ფულსა.

ეს გარემოება კი მათ შორის უსიამოვნობის ცეცხლს აწებებდა. აკაკი ჩავსადა ისეთი დღეში, რომ ხშირად ზომასაც გადასულა. აკაკი დაუღლურდა, სულით დაეცა. ერთხელ საწყვლად დაევითაშვილსაც კი გამოვართვი რვა მანეთი და ორ-ორი მანათი აკაკის მივე, ასევე გ. ჩარკვიანს გამოვართვი ორჯერ ორ-ორი მანეთი, მე ჩემდ მიუტანე 70 მ. მეტი. ასეთი ნაშოვნობა აკაკი მარტოდ მზარეულს თუ უჭრებოდა. 150 მ. კი ვერ შოულობდა. ამ დროს აკაკის სერგეი მესხიც კი ეხმარებოდა თავის შეძლებისდაგვარად. სერგეი მესხიც გაჭირებით სცხოვრებდა და 150 მ. მანაც ვერ მისცემდა, თუნდა გულითაც სდომებოდა.

აკაკის აღარ დარჩა ტბილისში ერთი მეგობარი, ნაცნობი, რომ არ მიემართა და არ ეთხოვა სესხად 150 მან., მაგრამ ყველასაგან უარი მოსდიოდა. უარის შემთხვევა აკაკის ძრიოდ აანჩხლებდა და სასაწყურვეთილებამდინ მიდიოდა, რომ შოვნის იმედი გადაეწყვიდა.

ამ დროს ტფილისში სცხოვრებდა არქიმანდრიტი გრიგოლ დადიანი. იგი დარბის მონასტრში იყო ამ დროს, აკაკიმ გრიგოლ დადიანთან წერილი გამაქნა და თანაც მოთხოვა შენც აუწერე ჩემი გაჭირებული მდგომარეობაო. მეც მალე მიველ დარბის მონასტრში, არქიმანდრიტი შინ ბრძანდებოდა, წერილი მივართვი, გახსნა, წაიკითხა. წაიკითხვის შემდეგ სთქვა: რა დამართვია ესაო. წერილი მართლაც კარგად იყო დაწერილი. აკაკი თავის გაჭირვებას და მწარე დღეებს უწერდა.

რაკი არქიმანდრიტმა წერილის შემდეგ აკაკი ახსენა, მას მერე მეც მოუყვება და ყოველისფერი დაწვინებით უამბე ისეთი ცნობები, რაც არ იყო კარგი რომ მეთქვა, მაგრამ მეტი გზა არ იყო. ვფიქრობდი, ეგები ასეთის ცნობებით სიბრაღული გამოაწვიოს და აკაკის ეშველოს რამე-მეთქი. სხვა და სხვა ამბებისაგან გრიგოლ დადიანი ძირედ შეწუხდა. მერე გადამოცა:

თქვენ წადით და მოახსენეთ აკაკის, რომ მე მასთან ხუთ საათზედ მივალ სანახავად და რასაც თხოულობს, იმასაც მივართმევ. შინ კი უსათუოდ დამხვედნო. დიდად გამეხარდა, მალე წამოველ, შინ გაველი, 11 საათი იქნებოდა, აკაკი ისევ შინ იყო. ოთახში მისვლისთანავე დაუვირე აკაკის: „გემევალო, გემევალო!“ აკაკი ფხვნიდა წამოღვა, წელში გაიმართა და სახე გაუღიმა. მალე ყვირაფერი ეუამბე. ამის შემდეგ აკაკი სხვაგან წავიდა, მალე ისევ მოვიდა შინა და იცდიდა, მართლაც არქიმანდრიტი 5 საათზედ თავის კვლევინიკით მოზრძანდა აკაკისას და მეორე საუბრის შემდეგ 150 მ. გადასცა. აკაკი მამინათვე შევიდა მეუღლესთან და გადასცა 150 მ. ამ დღესვე ბარგი მოამზადა აკაკის მეუღლემ და მეორე დღეს რკინის გზით რუსეთში გაგზავნა. სახლობს ისე ვწვიდა, რომ აკაკი არც კი უნახავს. აკაკის მეუღლის წასვლის დღესვე მეგბელიც გაზიდეს, ოთახებიც დაეცალეთ, აკაკი ერთ ოთახში დაბინავდა.

ამ დროს აკაკი ცოტათი ავად იყო, მარჯვენა ილიაში მუწუკი გამოუყვია. ამ მუწუკმა იგი ლოკინში ჩააყვინა. მაგრამ მან ექიმს არ მიმართა, თავის დედისაგან მუწუკების წამლობა ესწავლა,

